სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„20“ 11 *2013 წელი*

ეგზ. № 2

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში
„სოციალური დაცვის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №50/00

2013 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი 2
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 2
აუდიტორის პასუხისმგებლობა 2
ინფორმაცია „სოციალური დაცვის პროგრამის“ შესახებ 3
შიდა კონტროლის სისტემის მიმოხილვა 4
პროგრამის დაფინანსების წყარო და განხორციელებული დახმარებები 6
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები 7
ახალშობილთა ოჯახის ერთჯერადი ფინანსური დახმარება 7
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა 8
სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვება (უფასო სასადილო) 10
- *გარემოება 1. უფასო კვების მომსახურების შესყიდვა* 10
- *გარემოება 2. დაგვიანებით დაკმაყოფილებული განცხადებები* 11

მოსახლეობის საშეშე მერქნით დაკმაყოფილებისა და ბუნებრივი კატაკლიზმებისას კარვებით უზრუნველყოფა 12
ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა 13
გარდაცვლილი ომის ვეტერანთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება 14
ვეტერანთა, მრავალშვილიანი ოჯახების, ასი წლისა და ას წელს გადაცილებულ მოქალაქეთა დასაჩუქრების პროგრამა. 14
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამა 15
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი ..... **Error! Bookmark not defined.**
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..... **Error! Bookmark not defined.**

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითად მიზანია 2011-2012 წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ „სოციალური დაცვის პროგრამის“ ფარგლებში გახარჯული თანხების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვება, ამასთან, პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაზე დასკვნის გაცემა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, ორგანიზაციაში ისეთი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ინფორმაცია „სოციალური დაცვის პროგრამის“ შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის აუდიტი. აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „სოციალური დაცვის პროგრამით“ განხორციელებული საქმიანობა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო საკუთარ ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით, ყოველწლიურად შეიმუშავებს და ამტკიცებს სოციალური დაცვის პროგრამას. პროგრამა გულისხმობს შემდეგი დახმარებების დაფინანსებას: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო კვება, ახალშობილთა ოჯახებისა და ასევე გარდაცვლილი ომის ვეტარანების ერთჯერადი ფინანსური დახმარება; ვეტერანთა, მრავალშვილიანი ოჯახების, ასი წლისა და ას წელს გადაცილებულ მოქალაქეთა დასაჩუქრება. დახმარების სახეები, საჭიროებიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში იცვლება.

„სოციალური დაცვის პროგრამის“ ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის როგორც საკუთარი შემოსულობებით, ასევე დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერით, ამასთან ფინანსური უზრუნველყოფის ზრდა შესაძლებელია შემოწირულობებითა და ქველმოქმედებით.

აუდიტის ჯგუფმა პროფესიული განსჯის საფუძველზე შეარჩია შესამოწმებელი ოპერაციები. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით, რომლებიც გულისხმობს ზოგად ანალიზსა და პირველადი დოკუმენტაციის შემოწმებას, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები. შესწავლის მიზანს წარმოადგენდა გონივრული

რწმუნების მიღება მასზე, თუ რამდენად აკმაყოფილებდა განხორციელებული საქმიანობა პროგრამით განსაზღვრულ მიზნებსა და მოთხოვნებს. ამასთან, რამდენად პასუხობს ბენეფიციართა მონაცემები პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს. გარდა ამისა შესწავლილია, ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა რამდენად უზრუნველყოფს არსებითი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენას.

შიდა კონტროლის სისტემის მიმოხილვა

„სოციალური პროგრამის ფარგლებში“ დახმარებები გაიცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული წესის მიხედვით. ამ წესით, თითოეული პროგრამის ფარგლებში განისაზღვრება ფინანსური დახმარების ოდენობა, მის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია და ბენეფიციართა კონტინგენტი.

სოციალური დახმარების მისაღებად დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს მუნიციპალიტეტის გამგებელს, განცხადებასთან ერთად წარადგენს განკარგულებით განსაზღვრულ საჭირო დოკუმენტაციას. აღნიშნულის შემდეგ გამგებლის დავალებით განცხადებაზე რეაგირებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს პროგრამით დადგენილ კრიტერიუმებს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბენეფიციარის ფინანსურ დახმარებას. კრიტერიუმებთან შესაბამისობას ადგენს სოციალური დაცვის სამსახური და საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია.

პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე დახმარებები გაიცემა როგორც ფულადი, ისე სასაქონლო ფორმით. ფულადი ფორმით დახმარების გაცემის

შემთხვევაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი თანხის ჩარიცხვას ახდენს მოსარგებლის პირად ანგარიშზე ან პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, იმ ორგანიზაციის ანგარიშზე, რომელმაც მომსახურება გაუწია ბენეფიციარს. სასაქონლო ფორმით დახმარებები გაიცემა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

შიდა კონტროლის სისტემის შესწავლისას, პასუხისმგებელი პირის[1] განმარტებით, ზოგიერთ შემთხვევაში დახმარების მსურველებს, რომლებიც განცხადებით მიმართავენ მუნიციპალიტეტს, სოციალური სამსახურის მხრიდან ზეპირი ფორმით ეცნობებათ უარი. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილი განცხადება არ აღირიცხება გამგეობის კანცელარიის სარეგისტრაციო წიგნში. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებაზე: რადგან პროცესი არ არის გამჭირვალე და ვერ ქმნის დახმარების მსურველთა რაოდენობის სრულყოფილ სურათს: აგრეთვე, ამავე მიზეზით ვერ დგინდება სამართლიანია თუ არა უარის თქმის მიზეზები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სისტემური ხარვეზები:

- სოციალური დაცვის სამსახური არ აწარმოებს დახმარების მსურველთა სრულ აღრიცხვას;
- პროგრამის ფარგლებში გაცემულია დახმარებები, რომლებიც არ არის აღრიცხული სოციალური დაცვის პროგრამაში და შესაბამისად ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში.

[1] გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

პროგრამის დაფინანსების წყარო და განხორციელებული დახმარებები

2011-2012 წლებში სოციალური დაცვის პროგრამის დაფინანსებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 328.8 ათასი ლარის ასიგნება. საკასო ხარჯმა აღნიშნულ წლებში შეადგინა 315.0 ათასი ლარი. მათ შორის, 2011 წელს - 61.5 ათასი ლარი და 2012 წელს - 253.5 ათასი ლარი.

2012 წელს წინა წელთან შედარებით სოციალურ დახმარებებზე 4-ჯერ მეტი თანხა გაიხარჯა, რაც განპირობებულია იმით, რომ 2012 წელს სოციალური დაცვის პროგრამით, 2011 წლისგან განსხვავებით, დაფინანსდა სტიქიური მოვლენების - მიწისძვრის, ხანძრის, 2012 წლის 15 სექტემბერს - სეტყვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონაცემების მიხედვით, სოციალური პროგრამის ფარგლებში გაცემული დახმარებები ასე ნაწილდება:

ცხრილი N1

პროგრამის დასახელება	2011 წელი		2012 წელი	
	ბენეფიციართა რაოდენობა	გაცემული დახმარება	ბენეფიციართა რაოდენობა	გაცემული დახმარება
სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	50	33.3	50	35.6
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება	1	0.5	1	0.5
ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების დახმარება	102	21.2	83	24.8
ომის ვეტერანების დახმარება	16	4.0	8	2.0
ვეტერანთა, მრავალშვილიან ოჯახების, ასი წლისა და ას წელს გადაცილებულ მოქალაქეთა დასაჩუქრების პროგრამა	50	2.5	36	1.8
სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება		0	74	54.6
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება		0	407	134.2
სულ:		**61.5**		**253.5**

გარდა ამისა, 2011 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №75 განკარგულებით დამტკიცდა მოსახლეობის საშეშე მერქნით დაკმაყოფილებისა და ბუნებრივი კატაკლიზმებისას კარვებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის ფარგლებში გაცემული დახმარებები არ არის აღრიცხული ბიუჯეტის შესრულებაში „სოციალური დაცვის პროგრამის“ მუხლში.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

ახალშობილთა ოჯახის ერთჯერადი ფინანსური დახმარება

„ახალშობილთა ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა“ გულისხმობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილის მშობლების მატერიალურ წახალისებას. 2011-2012 წლებში, პროგრამის ფარგლებში ისარგებლა 185 ბენეფიციარმა, გაცემულმა დახმარებამ ჯამურად შეადგინა 46.0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, 2011 წელს პროგრამის ფარგლებში პირველი შვილის შეძენის შემთხვევაში გაცემული დახმარების ოდენობა განისაზღვრა 200 ლარით, ხოლო მესამე და მომდევნო შვილზე 250 ლარით. 2012 წელს პროგრამით გასაცემი დახმარების თანხა გაიზარდა და პირველ შვილზე განისაზღვრა 300 ლარის, ხოლო მეორე და მომდევნო შვილზე - 350 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2011 წელს პროგრამის ფარგლებში გაცემული 21,2 ათასი ლარიდან ისარგებლა 102 ბენეფიციარმა, ხოლო 2012 წელს გაცემული 24,8 ათასი ლარიდან - 83 ადამიანმა.

დახმარება გაიცემა განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ახალშობილის დაბადების მოწმობისა და მშობლების პირადობის დამდასტურებელი მოწმობის ასლები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით[2], 2011-2012 წლებში პროგრამის ფარგლებში დახმარების მიღებაზე უარი ეთქვა 4 მსურველს, იმ მიზეზით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო შესაბამისი პროგრამით

[2] გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურიის უფროსი.

გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელდა შემოსული განცხადებების აღრიცხვა-რეგისტრაცია, აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ დგინდება რეალურად რამდენმა პირმა გამოთქვა დახმარების სურვილი და რამდენად სამართლიანია უარის თქმის მიზეზი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა

საკრებულოს მიერ დამტკიცებული „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა“ გულისხმობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან. თანადაფინანსება განისაზღვრება ფაქტობრივი ხარჯის არა უმეტეს 50%-ით - 2000 ლარამდე, ხოლო 2000 ლარს ზევით – 1000 ლარით. პროგრამით სარგებლობა მოქალაქეს შეუძლია ერთჯერადად, ამასთან დახმარება გაიცემა უნაღდო ანგარისწორებით, მომსახურების გამწევი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების კონტინგენტი განისაზღვრება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მათი ოჯახების სარეიტინგო ქულების მიხედვით.

პროგარმის მიხედვით, 2011 წელს დახმარებით სარგებლობა შეუძლია 3-დან - 60 წლამდე მოქალაქეს, რომელიც არ არის დაზღვეული სახელმწიფო ან/და კერძო კომპანიის მიერ და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში არ აღემატებოდა 100 000 ქულას და მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს და დახმარების გაცემის მომენტისათვის არ არის დაწყებული მისი სადაზღვეო პერიოდი.

2012 წელს მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, პროგრამაში შევიდა ცვლილებები 1 თებერვლის N04 დადგენილებით თავდაპირველად განსაზღვრული 100000-ქულიანი ბარიერი მოიხსნა, ხოლო 19 მარტის N16 დადგენილებით

პროგრამის ცვლილება ითვალისწინებს საზღვარგარეთ ტრანსპორტირების ხარჯის დაფინანსებას, იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურების გაწევა არ არის შესაძლებელი საქართველოს ტერიტორიაზე. საზღვარგარეთ ტრანსპორტირების დაფინანსებით სარგებლობა შეძლო მხოლოდ ერთმა ბენეფიციარმა მაისის თვეში. 2012 წლის ივნისის დადგენილებით კი გაუქმდა აღნიშნული დახმარება და პროგრამას დაემატა მშობიარობის ხარჯების დაფინანსება 400 ლარის ოდენობით.

2012 წელს პროგრამით ისარგებლა 74 მოსარგებლემ, რომლებზეც დახმარებები გაიცა სულ 54.6 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის, 6.4 ათასი ლარი გაცემულია 16 მოსარგებლის სამშობიარო ხარჯების დასაფინანსებლად.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც მოიხსნა პროგამით დადგენილი 100000-ქულიანი ბარიერი, დახმარება გაეწია 66 მოსარგებლეს (მათ შორის, 26 მოსარგებლიდან ნაწილი არ არის დარეგისტირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში, ხოლო ნაწილის სარეიტინგო ქულა აღემატება 100000 ქულას)

2012 წელს სამედიცინო პროგრამის ფარგლებში სამშობიარო ხარჯების დასაფინანსებლად გაცემული დახმარებები კი თვეების მიხედვით ასე განაწილდა:

დიაგრამა №1



სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვება (უფასო სასადილო)

საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით სარგებლობის უფლება აქვს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 70 000 ქულას, მარჩენალდაკარგულ, ობოლ ბავშვებს, 18 წლამდე, მარტოხელა პენსიონერს, ინვალიდს, რომელსაც არ შესწევს უნარი მოიმზადოს საჭმელი. ყოველდღიური ერთჯერადი კვება ხორციელდება ყოველდღე, გარდა კვირისა და სადღესასწაულო დღეებისა. პროგრამის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- *გარემოება 1. უფასო კვების მომსახურების შესყიდვა*

2011-2012 წლებში უმწეოთა კვებით უზრუნველყოფაზე განხორციელდა 3 შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გზით ი/მ ტარიელ თომაძისაგან. ტენდერი სამივე შემთხვევაში გამოცხადებული იყო დღგ-ის გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ხელშეკრულება, შესრულებული სამუშაოს ფორმა №2) შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებელი არ არის დღგ-ის გადამხდელი, შესაბამისად, სამუშაოების შესრულების აქტში დღგ-ის თანხა გათვალისწინებული არ აქვს. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელს სახელშეკრულებო ღირებულება, რომელიც ითვალისწინებდა დღგ-ს 10.5 ათასი ლარის ოდენობით, აუნაზღაურდა სრულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ დღგ-ის თანხა შემსრულებელმა გადაანაწილა სამუშაოების ღირებულებაში, რითაც გაზარდა ერთეულის ფასები.

2011-2012 წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაიხარჯა 68.9 ათასი ლარი, მათ შორის, 2011 წელს - 33.3

ათასი ლარი, 2012 წელს - 35.6 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხის ფარგლებში მომსახურება 100 ბენეფიციარმა[3] მიიღო.

- ***<u>გარემოება 2</u>. დაგვიანებით დაკმაყოფილებული განცხადებები***

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ უფასო კვებით მოსარგებლეების რაოდენობა 2011-2012 წლებში განსაზღვრულია 50 ადამიანით. მიუხედავად მსურველთა არსებობისა, უფასო კვებით მოსარგებლეთა რაოდენობა წლების მიხედვით არ იცვლება. ამასთან, მუნიციპალიტეტში არსებული პრაქტიკის მიხედვით, მსურველთა თხოვნის დაკმაყოფილება ხდება არა განცხადების მიღებიდან გონივრულ ვადაში, არამედ ადგილის გამოთავისუფლების შემთხვევაში. აღნიშნულს ადასტურებს პასუხისმგებელი პირის განმარტება.[4] მუნიციპალიტეტში არსებული პრაქტიკის ხარვეზის გამო, სულ 2011-2012 წლებში 7 მსურველმა პროგრამით ისარგებლა დაგვიანებით (ერთიდან - შვიდ თვემდე), ხოლო ერთ შემთხვევაში, პროგრამით სარგებლობის მსურველის 2012 წლის აპრილის თვეში შემოსული განცხადება 2013 წლის იანვრის მდგომარეობით დაუკმაყოფილებელია.[5]

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ „სოციალური დაცვის პროგრამის“ ფარგლებში ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა სრულად არ არის ათვისებული[6], მაშინ, როცა 2012 წლის აპრილში შემოსული განცხადება დაუკმაყოფილებელია. მიზანშეწონილი იქნებოდა, მუნიციპალიტეტს პროგრამის მუხლებს შორის თანხების გადანაწილებით დაეფინანსებინა აღნიშნული ბენეფიციარის კვება ან გაეთვალისწინებინა 2013 წლის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო კვების ბიუჯეტის განსაზღვრისას.

[3] 2011 წელს მომსახურება გაეწია 50 ბენეფიციარს, ერთი ბენეფიციარის დღიური მომსახურების ღირებულება შეადგენს 2.70 ლარს; 2012 წელს - 50 ბენეფიციარს, ერთი ბენეფიციარის დღიური მომსახურების ღირებულებამ შეადგინა - 2.67 ლარი.
[4] გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.
[5] 2013 წლის იანვარში მსურველს ეცნობა, რომ თხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა ადგილის გამოთავისუფლებამდე.
[6] ნაშთად დარჩენილმა თანხამ წლის ბოლოს, მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერის გარდა, შეადგინა 3.2 ათასი ლარი.

მოსახლეობის საშეშე მერქნით დაკმაყოფილებისა და ბუნებრივი კატაკლიზმებისას კარვებით უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრისთვის საშეშე მერქნით უზრუნველყოფას, ასევე კარვებით დახმარებას იმ ოჯახებზე, რომელთა სახლი ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად საცხოვრებლად საშიშია. კარვები გაიცემა მუნიციპალიტეტში შექმნილი სტიქიით მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

2012 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყით მოსარგებლე ასოციაცია „ატუმ“, სამასალე მერქნის დამზადების შემდეგ დარჩენილი საშეშე მერქანი 995.23 $მ^3$ მუნიციპალიტეტს გადასცა მოსახლეობის სოციალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად. ამის გარდა, მუნიციპალიტეტს გადმოეცა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ 3.5 ათასი ლარის ღირებულების 10 ცალი კარავი. აღნიშნულის შემდეგ, შეიქმნა სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ბენეფიციარებისათვის საშეშე მერქნისა და კარვების ტრანსპორტირების უზრუნველყოფას.

საქონლის (საშეშე მერქნის) ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ორი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. ორივე შემთხვევაში ტენდერი ითვალისწინებდა მომსახურების ღირებულებას დღგ-ის ჩათვლით. ტენდერში გამარჯვების შედეგად ხელშეკრულება გაუფორმდა მიმწოდებლებს - შპს „ბარსონას“, ღირებულებით - 3.7 ათასი ლარი და შპს „პროექტი 2009“-ს - 3.3 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული მიმწოდებლები არ არიან დღგ-ის გადამხდელები. მიუხედავად ამისა, სახელშეკრულებო ღირებულება, რომელიც ითვალისწინებდა დღგ-ის გადასახადს (1.1 ათასი ლარი) ანაზღაურებულია სრულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ დღგ შემსრულებელმა გადაანაწილა სამუშაოების ღირებულებაში, რითაც გაზარდა ერთეულის ფასები.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 124 მოსარგებლეზე გაიცა 782.8 $მ^3$ საშეშე მერქანი და 2 კარავი. კარვებით დაკმაყოფილდა 2011 წლის 18 აგვისტოს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ორი ოჯახი. მუნიციპალიტეტის მიერ საქონლის (საშეშე მერქანი და კარავი) მიწოდება განხორციელდა მიღება-ჩაბარების აქტით.

მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, პროგრამაში 2011 წლის 25 ნოემბერს შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით საშეშე მერქნით სარგებლობა გარდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა, შესაძლებელი გახდა იმ ოჯახებისათვის, რომლებმაც საკუთარი სახსრებით ვერ მოახერხეს შეშის მომარაგება ნაადრევ დაზამთრებამდე. პროგრამაში შესული ცვლილების შემდეგ, სხვადასხვა რაოდენობის საშეშე მერქანი სულ 582.8 $მ^3$ გაიცა 84 მოსარგებლეზე, როგორც სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე (55%), ასევე ამ სტატუსის არ მქონე პირებზე (45%). აღნიშნული მერქნის ტრასპორტირება მოსარგებლეებმა განახორციელეს საკუთარი რესურსებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ აისახა. შესაბამისად, ბიუჯეტის ანგარიშში სოციალური დაცვის პროგრამის მუხლში არ არის აღრიცხული ინფორმაცია გადმოცემული მასალის, გაწეული დახმარებების შესახებ და პროგრამის უზრუნველსაყოფად გაწეული ტრანსპორტირების ხარჯის შესახებ.

ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა

პროგრამის ფარგლებში, 2011-2012 წლებში გაიცა 1,0 ათასი ლარის[7] დახმარება. პროგრამით მოსარგებლეა მხოლოდ ერთ ბენეფიციარი, მერი რატიანი. აღნიშნულმა პირმა 1972 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიიღო

[7] 2011 წელს - 0.5 ათასი ლარი, 2012 წელს, ასევე 0.5 ათასი ლარი.

სამსახურებრივი ტრავმა და 2003 წლიდან, სასამართლოს გადაწყვეტილებით ,ყოველწლიურად პროგრამის ფარგლებში იღებს დახმარებას.

გარდაცვლილი ომის ვეტერანთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გარდაცვლილი ომის ვეტერანთა ოჯახის წევრებს ვეტერანთა სახელის უკვდავყოფის მიზნით, ეძლევათ ერთჯერადი დახმარება - 250 ლარის ოდენობით. სოციალური დახმარება გაიცემა დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, რომელსაც პირადობის დამადასტურებელ საბუთებთან ერთად უნდა ახლდეს ნოტარიალურად დადასტურებული მოწმეთა ჩვენება, პირის მიერ გარდაცვლილი მოქალაქის უკვდავყოფის ხარჯების გაწევის თაობაზე.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2011-2012 წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ერთჯერადი დახმარება გაეწია სულ - 24 პირს, ჯამური თანხით - 6.0 ათასი ლარი, მათ შორის: 2011 წელს - 16 პირს, 4.0 ათასი ლარი და 2012 წელს - 8 პირს, 2.0 ათასი ლარი.

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფოდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავალს. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში, პროგრამის ფარგლებში გახარჯული თანხები ნაცვლად ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებისა, არასწორად არის წარმოდგენილი საკუთარი სახსრებით დაფინანსების მუხლში.

ვეტერანთა, მრავალშვილიანი ოჯახების, ასი წლისა და ას წელს გადაცილებულ მოქალაქეთა დასაჩუქრების პროგრამა.

2011-2012 წლებში ვეტერანთა, მრავალშვილიანი ოჯახების, ასი წლისა და ას წელს გადაცილებულ მოქალაქეთა დასაჩუქრების პროგრამით ისარგებლეს მხოლოდ ომის ვეტერანებმა. მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამის ფარგლებში ერთჯერადად 9

მაისთან დაკავშირებით გაიცა ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით. დახმარება გაწეულია 86 ვეტერანზე, საერთო თანხით - 4,3 ათასი ლარი. 2011 წელს პროგრამის ფარგლებში 50 ბენეფიციარზე გაცემულია 2,5 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს, 36 ბენეფიციარზე - 1.8 ათასი ლარი.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2012 წელს და წინა წლებში სტიქიური მოვლენების მეწყერის, მიწისძვრის, წყალდიდობისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 7.0 ათასი ლარის ოდენობით. კომპენსაციის გაცემა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი საცხოვრებელი სახლების დაზიანების კატეგორიის შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

2012 წელს, პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი დახმარება გაეწია 13 ოჯახს, რომელთაც სტიქიის შედეგად დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი. მათ შორის, ხანძრის შედეგად დაზიანებულ 4 ოჯახს, საერთო თანხით - 28.0 ათასი ლარი და მეწყერის შედეგად დაზიანებული 9 ოჯახს, თანხით - 63.0 ათასი ლარი[8].

გარდა ამისა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2012 წლის 15 სექტემბერს მომხდარის სეტყვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად სასაქონლო ფორმით გაიცა 43.2 ათასი ლარის[9] სასურსათო პაკეტი. დახმარება გაეწია სოფლების - ძირაგეულისა და ხიდიკარის თემის 394 ოჯახს. მუნიციპალიტეტის მიერ საქონლის მიწოდება განხორციელებულია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში გაცემულია 134.2 ათასი ლარი. მათ შორის, 106.2 ათასი ლარი დაფინანსებულია სტიქიური მოვლენების შედეგად

[8] აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტს გამოეყო საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის №777 განკარგულების საფუძველზე.

[9] აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტს გამოეყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 17 სექტემბრის №1269 ბრძანების საფუძველზე.

დაზარალებული მოსახლეობის კომპენსაციისათვის სახელმწიფოდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერით.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორ–ასისტენტი:
ლელა მიქაძე ხელმოწერა _____ თარიღი 18.11.2013

აუდიტორ–ასისტენტი:
ირმა ხეცურიანი ხელმოწერა _____ თარიღი 18.11.2013

აუდიტორ–ასისტენტი:
ლალი ამბროლაძე ხელმოწერა _____ თარიღი 18.11.2013